შპს „მოსავლის მართვის კომპანია“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „მოსავლის მართვის კომპანია“ ... 3
პირობითი მოსაზრება ... 3
მოსაზრების საფუძველი ... 3
ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირთა პასუხისმგებლობა ფინასურ ანგარიშგებაზე ... 5
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინასური ანგარიშგების აუდიტზე ... 6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ... 7
სრული შემოსავლის ანგარიშგება ... 8
კაპიტალის ცვლილების ანგარიში ... 9
ფულადი ნაკადების ანგარიში ... 10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ... 11
1.ზოგადი ინფორმაცია ... 11
2.მომზადების საფუძვლები ... 11
3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა ... 13
4.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ... 23
5.ფასს-ებზე გადასვლის განმარტება ... 24
6. ფული და ფულის ექვივალენტები ... 25
7. მოკლევადიანი მოთხოვნები ... 25
8. სასაქონლო მატერიალური მარაგი ... 25
9. წინასწარ გადახდილი გადასახადები ... 25
10. ფიქსირებული აქტივები ... 26
11. კრედიტორული დავალიანება ... 27
12. საწესდებო კაპიტალი ... 27
13. საოპერაციო შემოსავლები ... 27
14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება ... 27
15. მარაგების გაუფასურების ხარჯი ... 28
16. სხვა საოპერაციო შემოსავალი ... 28
17. საეჭვო მოთხოვნების რეზერვი ... 28
18. ადმინისტრაციული ხარჯები ... 28
19. ფინანსური შემოსავლები ... 29
20. სასამართლო დავები ... 29
21. საგადასახადო კანონმდებლობა ... 29
22. ფინანსური რისკების მართვა ... 29
23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ... 33
24. საწარმოს უწყვეტობის განხილვა ... 33
25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები ... 33

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
შპს „მოსავლის მართვის კომპანია“

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ **შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“** ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისაგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისაგან.

ჩვენი აზრით, გარდა "პირობითი მოსაზრების საფუძველი" აბზაცში განხილული საკითხისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს **შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“** ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, რომ მარაგები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. შესაბამისად ჩვენ ვერ დავრწმუნდით მარაგების შეფასების სისწორეში, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია შემდეგი საბალანსო ღირებულებებით 2023 წლის 31 დეკემბერს - 10,157 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბერს - 22,143 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ჩვენ აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხიმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ **შპს „მოსავლის მართვის კომპანიისაგან“** იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინასური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლების შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ჩვენ ჩავატარეთ **შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“** 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“ მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს „მოსავლის მართვის კომპანია“. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირთა პასუხისმგებლობა ფინასურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინასური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“ ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქცინირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქცინირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს რეალური არჩევანი ასე არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან **შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“** ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინასური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისისნი ცალ-ცალკე ან ერთად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინასურ ანგარიშგებას.

სესილი კიკნაძე (SARAS-A-988463)

გარიგების პარტნიორი

შპს ,,კკ ჯგუფი“

ქ. თბილისი, არჩილ ქურდიანის 11

26 ივლისი 2024

Sesili Kiknadze

Digitally signed by Sesili Kiknadze
Date: 2024.07.26 13:30:09 +04'00'

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს „მოსავლის მართვის კომპანია“

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022
აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	6	50,149,726	12,880,921
სავაჭრო მოთხოვნები	7	11,915,049	20,745,106
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8	10,157,000	22,142,596
წინასწარ გადახდილი გადასახადები	9	92,946	
ჯამურად მიმდინარე აქტივები		**72,314,720**	**55,768,623**
ფიქსირებული აქტივები	10	316,781	353,926
ჯამურად გრძელვადიან აქტივები		**316,781**	**353,926**
სულ აქტივები		**72,631,501**	**56,122,549**
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	11	823,242	1,759,984
გადასახდელი გადასახადები			35,433
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		**823,242**	**1,795,417**
სულ ვალდებულებები		**823,242**	**1,795,417**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	35,067,786	35,039,794
გაუნაწილებელი მოგება		36,740,473	19,287,339
სულ კაპიტალი		**71,808,259**	**54,327,133**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**72,631,501**	**56,122,549**

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

პაატა ჭავჭანიძე

26 ივლისი 2024

მთავარი ფინანსისტი

სოფიო უტიაშვილი

26 ივლისი 2024

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
შპს „მოსავლის მართვის კომპანია“
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022
აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	6	50,149,726	12,880,921
სავაჭრო მოთხოვნები	7	11,915,049	20,745,106
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8	10,157,000	22,142,596
წინასწარ გადახდილი გადასახადები	9	92,946	
ჯამურად მიმდინარე აქტივები		**72,314,720**	**55,768,623**
ფიქსირებული აქტივები	10	316,781	353,926
ჯამურად გრძელვადიან აქტივები		**316,781**	**353,926**
სულ აქტივები		**72,631,501**	**56,122,549**
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	11	823,242	1,759,984
გადასახდელი გადასახადები			35,433
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		**823,242**	**1,795,417**
სულ ვალდებულებები		**823,242**	**1,795,417**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	35,067,786	35,039,794
გაუნაწილებელი მოგება		36,740,473	19,287,339
სულ კაპიტალი		**71,808,259**	**54,327,133**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**72,631,501**	**56,122,549**

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი
პაატა ჭავჭანიძე
26 ივლისი 2024

მთავარი ფინანსისტი
სოფიო უტიაშვილი
26 ივლისი 2024

სრული შემოსავლის ანგარიშგება

შპს „მოსავლის მართვის კომპანია“
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2023 წ.	2022 წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	19,621,482	39,089,038
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(25,836,028)	(38,984,324)
მარაგების გაუფასურების ხარჯი	15	(10,796,603)	(68,145,181)
საერთო მოგება/(ზარალი)		**(17,011,149)**	**(68,040,467)**
სხვა საოპერაციო შემოსავალი	16	18,729,799	61,459,502
უიმედო ვალების (ხარჯი)/ შემოსავალი	17	16,979,766	(21,334,000)
დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები		(37,400)	(184,800)
ადმინისტრაციული ხარჯები	18	(2,986,278)	(2,946,620)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		**15,674,738**	**(31,046,385)**
ფინანსური შემოსავლები	19	1,766,701	265,020
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		11,695	
არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)		**1,778,396**	**265,020**
მოგება დაბერგვრამდე		**17,453,134**	**(30,781,365)**
მოგების გადასახადის ხარჯი			
წმინდა მოგება		**17,453,134**	**(30,781,365)**

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

პაატა ჭავჭანიძე

26 ივლისი 2024

მთავარი ფინანსისტი

სოფიო უტიაშვილი

26 ივლისი 2024

სრული შემოსავლის ანგარიშგება

შპს „მოსავლის მართვის კომპანია“
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2023 წ.	2022 წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	19,621,482	39,089,038
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(25,836,028)	(38,984,324)
მარაგების გაუფასურების ხარჯი	15	(10,796,603)	(68,145,181)
საერთო მოგება/(ზარალი)		**(17,011,149)**	**(68,040,467)**
სხვა საოპერაციო შემოსავალი	16	18,729,799	61,459,502
უიმედო ვალების (ხარჯი)/ შემოსავალი	17	16,979,766	(21,334,000)
დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები		(37,400)	(184,800)
ადმინისტრაციული ხარჯები	18	(2,986,278)	(2,946,620)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		**15,674,738**	**(31,046,385)**
ფინანსური შემოსავლები	19	1,766,701	265,020
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		11,695	
არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)		**1,778,396**	**265,020**
მოგება დაბერგვრამდე		**17,453,134**	**(30,781,365)**
მოგების გადასახადის ხარჯი			
წმინდა მოგება		**17,453,134**	**(30,781,365)**

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი
პაატა ჭავჭანიძე
26 ივლისი 2024

მთავარი ფინანსისტი
სოფიო უტიაშვილი
26 ივლისი 2024

კაპიტალის ცვლილების ანგარიში

შპს „მოსავლის მართვის კომპანია“

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამურად
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**35,039,794**	**50,068,704**	**85,108,498**
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)		(30,781,365)	(30,781,365)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**35,039,794**	**19,287,339**	**54,327,133**
კაპიტალის ზრდა	27,992		27,992
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)		17,453,134	17,453,134
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**35,067,786**	**36,740,473**	**71,808,259**

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

პაატა ჭავჭანიძე

26 ივლისი 2024

მთავარი ფინანსისტი

სოფიო უტიაშვილი

26 ივლისი 2024

კაპიტალის ცვლილების ანგარიში

შპს „მოსავლის მართვის კომპანია“

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამურად
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**35,039,794**	**50,068,704**	**85,108,498**
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)		(30,781,365)	(30,781,365)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**35,039,794**	**19,287,339**	**54,327,133**
კაპიტალის ზრდა	27,992		27,992
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)		17,453,134	17,453,134
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**35,067,786**	**36,740,473**	**71,808,259**

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი
პაატა ჭავჭანიძე
26 ივლისი 2024

მთავარი ფინანსისტი
სოფიო უტიაშვილი
26 ივლისი 2024

ფულადი ნაკადების ანგარიში

შპს „მოსავლის მართვის კომპანია“

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2023	2022
მოგება დაბეგრვამდე	17,453,134	(30,781,365)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	76,108	87,353
დებიტორების რეზერვის კორექტირება	(16,979,766)	21,334,000
მარაგების რეზერვი	10,796,603	68,145,181
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	**11,346,079**	**58,785,169**
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების დავალიანებაში	25,809,823	(29,755,196)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	1,188,994	(18,513,894)
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში	(92,946)	-
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	(936,741)	(1,861,982)
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	(35,433)	790,651
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**37,279,776**	**9,444,749**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული აქტივების შეძენა/ჩამოწერა	(38,963)	(7,200)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(38,963)**	**(7,200)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	27,992	
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**27,992**	
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	**37,268,805**	**9,437,549**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	12,880,921	3,443,372
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**50,149,726**	**12,880,921**

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

პაატა ჭავჭანიძე

26 ივლისი 2024

მთავარი ფინანსისტი

სოფიო უტიაშვილი

26 ივლისი 2024

ფულადი ნაკადების ანგარიში

შპს „მოსავლის მართვის კომპანია“

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2023	2022
მოგება დაბეგრვამდე	17,453,134	(30,781,365)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	76,108	87,353
დებიტორების რეზერვის კორექტირება	(16,979,766)	21,334,000
მარაგების რეზერვი	10,796,603	68,145,181
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	**11,346,079**	**58,785,169**
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების დავალიანებაში	25,809,823	(29,755,196)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	1,188,994	(18,513,894)
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში	(92,946)	-
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	(936,741)	(1,861,982)
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	(35,433)	790,651
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**37,279,776**	**9,444,749**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული აქტივების შეძენა/ჩამოწერა	(38,963)	(7,200)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(38,963)**	**(7,200)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	27,992	
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**27,992**	
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	**37,268,805**	**9,437,549**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	12,880,921	3,443,372
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**50,149,726**	**12,880,921**

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი
პაატა ჭავჭანიძე
26 ივლისი 2024

მთავარი ფინანსისტი
სოფიო უტიაშვილი
26 ივლისი 2024

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1.ზოგადი ინფორმაცია

შპს '"მოსავლის მართვის კომპანია" (შემდგომში კომპანია, ს.ნ. 405406109) დაფუძნდა 2020 წლის 04 აგვისტოს. ამჟამად ფუნქციონირებს როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაარსების დღიდან დღემდე აწარმოებს ყურძნისგან ღვინოს. დარეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6.
კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (ს.ნ. 205005910), ხოლო წილის მმართველი ორგანოა ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო (ს.ნ. 404923785).

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს კომპანიის დირექტორი - პაატა ჭავჭანიძე. კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობამ 2023 წელს შეადგინა 77 თანამშრომელი, ხოლო 2022 წელს შეადგინა 73 თანამშრომელი.

2.მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს–ები) შესაბამისად.
შპს „მოსავლის მართვის კომპანია“ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.
შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“ პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.
ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის მენეჯმენტისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება, ზოგადად, დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან რომლის გადახდა ხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRSs)

დოკუმენტი ბასს 16-ის "ძირითადი საშუალებების" შესწორებები მოითხოვს, რომ კომპანიამ აღიაროს იმ ნაწარმის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა, რომელიც შეიქმნა ძირითადი საშუალებების დანიშნულებისამებრ მზადების პროცესში და, ასევე, დაკავშირებული დანახარჯები მოგება ან ზარალში, ნაცვლად იმისა, რომ ეს მიღებული თანხები გამოქვითოს აქტივის თვითღირებულებიდან. ეს ცვლილება გამოიყენება რეტროსპექტულად.

ბასს 37-ის შესწორებები - "წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების დანახარჯი"

ბასს 37-ის შესწორებების - "ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები" შედეგად უფრო ზუსტად განისაზღვრება დანახარჯები, რომლებსაც საწარმო ითვალისწინებს, როდესაც აფასებს, ხელშეკრულება წამგებიანი იქნება თუ არა.

ფასს 16-ის შესწორებები - "კოვიდ 19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ"

იმისათვის, რომ საწარმომ გამოიყენოს ფასს საიჯარო ქირის აღრიცხვის გამარტივებული მიდგომა, დაკმაყოფილებული უნდა იყოს შემდეგი ყველა პირობა:

- საიჯარო გადახდების ცვლილება იწვევს იჯარის ანაზღაურების ოდენობის ცვლილებას/გადახედვას, მაგრამ იჯარის ანაზღაურების შესწორებული ოდენობა ძირითადად იგივეა ან ნაკლებია იჯარის ანაზღაურების იმ ოდენობაზე, როგორიც იყო უშუალო საიჯარო გადახდების ცვლილების წარმოშობამდე;
- საიჯარო გადახდების შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ ისეთ გადახდებზე, რომლებიც თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად გადახდას ექვემდებარებოდა არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისისა; და
- იჯარის ვადებსა და პირობებში არ შესულა სხვა არსებითი ცვლილებები.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და

მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან გასაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადებით კლასიფიცირებულია, როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მისი დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და შესაძლებლობა. კომპანიას არ გააჩნია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების შესყიდვები და გაყიდვები აღიარდება შეძენის თარიღისათვის, ვაჭრობისა და შესყიდვის თარიღებს შორის. რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება გასაყიდად გამიზნული აქტივების რეზერვებში. გაყიდვისას სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსავალი ან ზარალი რეკლასიფიცირებულია გასაყიდად არსებული რეზერვებიდან მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.
იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრულ შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება-ზარალში.

იმ დებიტორული დავალიანებებისათვის, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რაც დაფუძნებულია გადასახდელების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვა.
დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	1-30 დღე	31-90 დღე	90-180 დღე	180-365 დღე	>365
დარეზერვების პროცენტულობა	0%	5%	25%	50%	100%

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საეჭვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც

დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყეტა

პირი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

(დ) ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);

2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და

3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

პირს არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება ფასდება ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. კაპიტალიზდება მნიშვნელოვანი ნაწილების გამოცვლის ხარჯები, ხოლო გამოცვლილი ნაწილის ღირებულებები ჩამოიწერება.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის.

როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში. წინა პერიოდებში ძირითადი საშუალებების გაუფასურებით მიღებული ზარალი გადაიხედება თუ შეიცვლა ვარაუდები, რომელიც გამოყენებულ იქნა ძირითადი საშუალებების გამოყენებადი ღირებულების ან რეალურ ღირებულებას გამოკლებული სარეალიზაციო ღირებულების განსასაზღვრად.

გაყიდვით გამოწვეული მოგება და დანაკარგი, რომლებიც განისაზღვრება საბალანსო ღირებულების სანაცვლო ღირებულებასთან შედარებით, აღიარდება მიმდინარე წლის მოგება-ზარალში.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას ნაშთის შემცირების მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
მანქანა დანადგარები და მოწყობილობები	5-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი

სასაქონლო-მატერიალური აქტივები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისიწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალური მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებით გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით

სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება ფიფო მეთოდით და შეიცავს დანარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორიც ის იმყოფება.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ექვივალენტებში.

კაპიტალი & დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. კომპანიის კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ.) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში და იგი ძირითადად დამოკიდებულია გაცემული დივიდენდის ოდენობაზე.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ქონების რეალიზაციითა და იჯარით მიღებული შემოსავალი აღირიცხება, როგორც საოპერაციო შემოსავალი .

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები.

შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებითა და სხვა მსგავსი შეღავათებით.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას არ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა კომპანიაში; და
- ოპერაციასთან დაკავშირებული დარიცხული და დასარიცხი ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

მიღებული სუბსიდია აღიარდება შემოსავლად იმ პერიოდის განმავლობაში, რომელი პერიოდის საკონპენსაციოდაც იყო გამიზნული. სუბსიდიები, რომლებიც წარმოდგენილია როგორც უკვე გამოწვეული ხარჯებისა, თუ ზარალის საკონპენსაციოდ კომპანიის ფინანსური მხარდაჭერისთვის და რომელთაც არ გააჩნიათ სამომავლო ხარჯები, აღიარდება როგორც სხვა შემოსავალი იმ პერიოდისათვის, რომელშიც წარმოიშვა მოთხოვნა.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საოპერაციო იჯარა

პირი იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებსა და შემოსავლებს კომპანია აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

იჯარის ვადა არის მოიჯარის მიერ იჯარით აღებული აქტივით სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროის მონაკვეთი, რომელიც არ ექვემდებარება შეცვლას ან გაუქმებას, იმ დამატებითი დროის მონაკვეთთან ერთად, რომლის განმავლობაში მოიჯარეს, ხელშეკრულების თანახმად უფლება აქვს გააგრძელოს აქტივის გამოყენება გარკვეული დამატებითი თანხის გადახდის ან გადაუხდელობის პირობით.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2023-2022 წლის 31 არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	დოლარი
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოდან გასვლა. ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც იურდიულმა პირმა უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);

- კანონმდებლობა; ან

- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქნება იურდიული პირის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, იურდიული პირი სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, იურდიული პირი აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვადებულებებს.

ტერმინი "პირობითი ვადლდებულება" გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

– ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა; და

– პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:

  - შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა კომპანიას მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას; ან
  - მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურსარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელა ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია

მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

4.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითარებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.
კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

უიმედო ვალი
კომპანია აფასებს მისაღები მოთხოვნების ამოღების დონეს მის გამოცდილებაზე და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების დონე შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებებისგან.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთი
მენეჯმენტმა კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასების მიზნით გამოიყენა საბაზრო საპროცენტო განაკვეთები. საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შესაძლოა ფინანსურ ვალდებულებებზე და საპროცენტო ხარჯებზე იქონიოს გავლენა.

5.ფასს-ებზე გადასვლის განმარტება

მე-3 შენიშვნაში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები გამოყენებულ იქნა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად.

6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2023-2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2023	31.12.2022
ლარები საბანკო ანგარიშებზე	50,137,854	12,864,351
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	-	36
ჯამურად ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	**50,137,854**	**12,864,387**
ნაღდი ფული სალაროში ლარებში	11872	16,534
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	**50,149,726**	**12,880,921**

7. მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023-2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2023	31.12.2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	18,629,284	44,427,106
მთლიანი სავაჭრო მოთხოვნები	**18,629,284**	**44,427,106**
მინუს:გაუფასურების რეზერვი	**- 6,714,234**	***- 23,682,000***
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**11,915,049**	**20,745,106**

8. სასაქონლო მატერიალური მარაგი

სასაქონლო მატერიალური მარაგი 2023-2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2023	31.12.2022
ღვინო და ღვინო მასალები	20,572,749	89,902,234
მარაგების გაუფასურება	***- 10,796,603***	***- 68,145,181***
სხვა მარაგი	380,853	385,543
ჯამურად სასაქონლო-მატერიალური მარაგები	**10,157,000**	**22,142,596**

9. წინასწარ გადახდილი გადასახადები

წინასწარ გადახდილი გადასახადები 2023-2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2023	31.12.2022
საგადასახადო აქტივი	92,704	
წინასწარ გადახდილი საპენსიო გადასახადი	240	
სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯი	2	
სულ გადასახდელი გადასახადები	**92,946**	-

10. ფიქსირებული აქტივები

	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	არამატერიალური აქტივები	სულ
ნარჩენი ღირებულება 31/12/2021	**334,206**	**69,635**	**28,698**	**1,540**	**434,079**
დანამატები	1,735		5,465		7,200
აქტივების ჩამოწერა					-
ცვეთა პერიოდისათვის	(67,011)	(13,927)	(6,184)	(231)	(87,353)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა					-
ბალანსი 31/12/2022	**268,930**	**55,708**	**27,979**	**1,309**	**353,926**
დანამატები	9,371	27,992	10,028		47,391
აქტივების ჩამოწერა		(12,900)			(12,900)
ცვეთა პერიოდისათვის	(55,448)	(13,822)	(6,642)	(196)	(76,108)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა		4,472			4,472
ბალანსი 31/12/2023	**222,854**	**61,449**	**31,365**	**1,113**	**316,781**

11. კრედიტორული დავალიანება

დავალიანებები მიწოდება/მომსახურებიდან 2023-2022 წლებისთვის:

	31.12.2023	31.12.2022
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქნილი ვალდებულებები	769,494	1,759,984
მიღებული ავანსები	53,748	
სულ კრედიტორული დავალიანება	**823,242**	**1,759,984**

12. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 35 039 794 ლარს. ააიპ სოფლის განვითარების სააგენტოს 2023 წლის 9 ივნისის ბრძანება N1-3/292 ბრძანების საფუძველზე, კომპანიის კაპიტალში განხორციელდა შენატანი ავტომობილის სახით, ღირებულებით 27992 ლარი. საწესდებო კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 35 067 786 ლარს.

13. საოპერაციო შემოსავლები

საოპერაციო შემოსავლები 2023-2022 წლებისთვის წარდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
შემოსავლები ალკოჰოლური სასმელებიდან	19,598,576	39,083,844
საიჯარო შემოსავალი	22,906	5,193
სულ შემოსავალი	**19,621,482**	**39,089,038**

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2023-2022 წლებისთვის წარდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	25,836,028	38,984,324
სულ	**25,836,028**	**38,984,324**

15. მარაგების გაუფასურების ხარჯი

მარაგების გაუფასურების ხარჯი 2023-2022 წლებისთვის :

	2023	*2022*
01 იანვარი	*112,954,181*	*44,809,000*
წლის ხარჯი	*10,796,603*	*68,145,181*
სულ მარაგების გაუფასურება	***123,750,783***	***112,954,181***

გაუფასურებული მარაგების რეზერვი, წარმოადგენს სხვაობას ნეტო სარეალიზაციო ფასსა და თვითღირებულებას შორის.

16. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2023	*2022*
სუბსიდია	18,791,219	61,608,676
სხვა საოპერაციო ხარჯი	(61,420)	(149,174)
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	**18,729,799**	**61,459,502**

17. საეჭვო მოთხოვნების რეზერვი

საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	2023	*2022*
01 იანვარი	23,682,000	2,348,000
წლის ხარჯი	**6,714,234**	**21,334,000**
წლის ამობრუნება	(23,682,000)	
სულ საეჭვო მოთხოვენბის რეზერვი	**6,714,234**	***23,682,000***

18. ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
ხელფასის ხარჯი	2,285,356	1,897,475
აუქციონის სარგებლის ხარჯი	181,752	340,517
იჯარის ხარჯი	206,202	465,861
ცვეთის ხარჯი	76,108	87,353
საგადასახადო ხარჯი	3,354	32,514
სხვა ხარჯი	233,506	122,901
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	**2,986,278**	**2,946,620**

19. ფინანსური შემოსავლები

	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	1,766,701	265,020
სულ საპროცენტო შემოსავალი	1,766,701	265,020

20. სასამართლო დავები

პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგება კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

21. საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

22. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს, მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს, საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი

კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების კრედიტით მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები. კომპანია მიიჩნევს, რომ მოსალოდნელი ზარალი ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ფლობიდან უმნიშვნელოა. შესაბამისად, საკრედიტო რისკის შეფასება ფაქტობრივად ხორციელდება სავაჭრო მოთხოვნებზე.

კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: ა) უცხოურ ვალუტებში, ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, და გ) საწესდებო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმაა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

ქვემოთ მოცემულ საბაზრო რისკებისადმი მგრძნობიარობა ეფუძნება ფაქტორში მომხდარ ცვლილებას, ხოლო სხვა ფაქტორები უცვლელად განიხილება. ნაკლები ალბათობა არსებობს, რომ ამას ადგილი ექნება პრაქტიკაში და ზოგიერთ ფაქტორში ცვლილებები შესაძლოა დაკავშირებული იქნეს, მაგალითად, საპროცენტო განაკვეთსა და უცხოურ სავალუტო განაკვეთებში მომხდარ ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

31.12.2023	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	50,149,726	-	-	50,149,726
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11,915,049	-	-	11,915,049
სულ ფინანსური აქტივები	**62,064,775**	**-**	**-**	**62,064,775**

ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	823,242	-	-	823,242
სულ ფინანსური ვალდებულებები	**823,242**	-	-	823,242
წმინდა სავალუტო პოზიცია	61,241,533	-	-	61,241,533

31.12.2022	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	12,880,921	-	-	12,880,921
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20,745,106	-	-	20,745,106
სულ ფინანსური აქტივები	**33,626,027**	**-**	**-**	**33,626,027**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,759,984	-	-	1,759,984
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,759,984**	-	-	1,759,984
წმინდა სავალუტო პოზიცია	31,866,043	-	-	31,866,043

საბაზრო რისკი

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ინვესტიციები საკუთარ კაპიტალსა და არაფულად აქტივებში არ წარმოშობს რაიმე მატერიალურ სავალუტო რისკს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანია ექვემდებარება იმ ცვლილებების შედეგებს, რომელსაც ადგილი აქვს გავრცელებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში მისი ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი ნაკადების მიმართ. კომპანიის პროცენტიანი აქტივები მოიცავს ბანკის ვადიან დეპოზიტებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკი უმთავრესად განპირობებულია სესხით სარგებლობასთან. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული სესხების შედეგად კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების რისკს. კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს რისკი უმნიშვნელოა კომპანიის საქმიანობისათვის. თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის, ფიქსირებული განაკვეთი ჯობია კომპანიისათვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, თუ ცვლადი განაკვეთი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირი დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანიას ყოველდღე უკავშირდებიან კომპანიის არსებული ფულადი სახსრების რესურსების შესახებ. კომპანის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ისწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმთავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2023 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი გადახდის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები განსხვავდება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მოცემული თანხა ეფუძვნება დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადებს.

31.12.2023	0-1 წელი	1-5 წელი	5-ზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	50,149,726	-	-	50,149,726
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11,915,049	-	-	11,915,049
სულ ფინანსური აქტივები	**62,064,775**	**-**	**-**	**62,064,775**
ფინანსური ვალდებულებები		-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	823,242	-	-	823,242
სულ ფინანსური ვალდებულებები	**823,242**	-	-	823,242
ლიკვიდურობის სხვაობა	**61,241,533**	**-**	**-**	**61,241,533**
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	(61,241,533)			

31.12.2022	0-1 წელი	1-5 წელი	5-ზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	12,880,921	-	-	12,880,921
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20,745,106	-	-	20,745,106
სულ ფინანსური აქტივები	**33,626,027**	**-**	**-**	**33,626,027**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,759,984	-	-	1,759,984
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,759,984**	-	-	1,759,984
ლიკვიდურობის სხვაობა	31,866,043	-	-	31,866,043
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	(31,866,043)			

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც წესი, მხარეები დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ მხარეს გააჩნია მეორე მხარის კონტროლის, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ან თუ არსებობს მესამე მხარეზე ერთობლივი კონტროლი ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღების დროს. თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.
2023-2022 წლებისთვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები:

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	2023	2022
მენეჯმენტის ხელფასი	121,480	100,426

24. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.
მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.

მმართველობის ანგარიშგება

ა) საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობისა აღწერა

1.კომპანიის განვითარების გეგმა ძირითადი მონაცემები კომპანიის შესახებ

შპს „მოსავლის მართვის კომპანია“ დაარსდა 2020 წელს. კომპანია დაფუძნებულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ. შპს „მოსავლის მართვის კომპანია“-ს ფაქტობრივი მისამართია თელავის რაიონში, სოფ. აკურა. იურიდიული მისამართი თბილისი, მარშალ გელოვანის N6. კომპანიის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს იჯარით არებულ სხვადასხვა ქარხნებში ყურძნის გადამუშავება, ღვინის დამზადება და საბრენდე სპირტის წარმოება.

2. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

- საქართველოს კანონი „ვაზისა და ღვინისშესახებ“;

- საქართველოს საგადასახადო კოდექსი; -საქართველოს მთავრობის2014 წლის 03 იანვრის N3 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის ყურძნის ღვინოების წარმოების

ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ“.

-საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრის 2018 წლის 19 თებერვლის ბრძანება №282“ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2003 წლის 20 თებერვალის N2- 37ბრძანება- “ღვინისა და ღვინის ბრენდის ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციისათვის საჭირო მონაცემთა შესწავლისა და დადგენის წესის” და “ადგილწარმოშობის დასახელების ღვინისა და ღვინის ბრენდის წარმოებაზე სახელმწიფო კონტროლის წესის” დამტკიცების შესახებ.

და სხვა ქვენორმატიული აქტები.

კომპანია წარმოებულ პროდუქციას ძირითადად ყიდის ადგილობრივ ბაზარზე საქართველოში. ალკოჰოლური ნაწარმის მწარმოებელთა შორის შპს „მოსავლის მართვის კომპანია“-ს ხვედრითი წილი ცვალებადია და დამოკიდებულია მიღებული ყურძნის რაოდენობაზე.

სარეალიზაციო საქონლის ასორტიმენტი იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად:

სხვადასხვა დასახელების თეთრი და წითელი ღვინისა და საბრენდე სპირტის წარმოება;

კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანია საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შეცვლას უახლოეს პერიოდში არ გეგმავს.

1.ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ.

კომპანიას ფილიალები არ გააჩია.

1.გამოკვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ამ მიმართულებით საანგარიშგებო პერიოდში რაიმე სერიოზული კვლევა არ ჩატარებულა.

1.დ საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლებია:ათასი ლარი

	31/12/2022	31/12/2023	% წინა წლებთნ შედარებით
მიმდინარე აქტივები	55,768	72,315	30%
გრძელვადიანი აქტივები	354	316	-11%
სულ: აქტივები	56,122	72,631	29%
მიმდინარე ვალდებულებები	1,795	823	-54%
მოგება / ზარალი	(30,781)	17,453	157%
საწესდებო კაპიტალი	35,040	35,068	0.08%
სულ კაპიტალი	54,327	71,808	32%
სულ: ვალდებულებები & კაპიტალი	56,122	72,631	29%
შემოსავალი რეალიზაციიდან	39,089	19,621	-50%
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(38,984)	(25,836)	-34%

დასაქმებულთა საშუალო ხელფასი და რაოდენობა.

	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
დასაქმებულთა საშუალო ხელფასი (XII მდგომარეობთ)	1613	1705	1627
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა (XII მდგომარეობთ)	81	73	77

ბ)ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკებთან დაკავშირებით მენეჯმენტის აზრით სასოფლო სამეურნეო წარმოებისათვის დამახასიათებელი რისკი დაკავშირებულია ამინდთან. არახელსაყრელმა ამინდმა, კერძოდ, ხშირმა წვიმებმა, ან პირიქით დიდმა გვალვამ, ასევე სეტყვამ, (რაც ხშირია საქმიანობის რეგიონში,) შესაძლებელია გამოიწვიოს მოსავლის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურება, კომპანიას ეს რისკი არ გააჩნია, რადგან არა აქვს არც ერთი ჰა ვენახის ფართობი. რეალიზაციათან დაკავშირებული რისკი: - კომპანიას რეალიზაციის პრობლემა არ გააჩნია. ქონების დაცვის რისკი: - კომპანიას ქონება დაზღვეული არა აქვს , კომპანიის ქონებას იცავს საკუთარი დაცვა. მენეჯმენტის აზრით სხვა დანარჩენი რისკები საშუალზე დაბალია და სერიოზულად არ განიხილება.

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს, მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს, საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა , რომ ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების კრედიტით მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები. კომპანია მიიჩნევს, რომ მოსალოდნელი ზარალი ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ფლობიდან უმნიშვნელოა. შესაბამისად, საკრედიტო რისკის შეფასება ფაქტობრივად ხორციელდება სავაჭრო მოთხოვნებზე.

კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: ა) უცხოურ ვალუტებში, ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, გ) საწესდებო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ

საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმაა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

კომპანია ექვემდებარება იმ ცვლილებებს, რომელსაც ადგილი აქვს გავრცელებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში მისი ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი ნაკადების მიმართ. კომპანიის პროცენტიანი აქტივები მოიცავს ბანკის ვადიან დეპოზიტებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკი უმთავრესად განპირობებულია სესხით სარგებლობასთან. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული სესხების შედეგად კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების რისკს.

ლიკვიდურობის რისკი ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირი დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანიას ყოველდღე უკავშირდებიან კომპანიის არსებული ფულადი სახსრების რესურსების შესახებ. კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ისწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმთავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან.

რაც შეეხება გაურკვევლობებს, იგი დაკავშირებულია სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან მოულოდნელად მიღებულ გადაწყვეტილებებთან, რომლებსაც შეუძლია კომპანიის საქმიანობის შედეგები მნიშვნელოვნად შეცვალოს და რომელთა წინასწარი პროგნოზირება ცალკეულ შემთხვევებში შეუძლებელია.მთავარი რისკი ჩვენთვის არის ბაზარზე არსებული საბრენდე სპირტის დაბალი ფასი,სპირტის წარმოება გაცილებით ძვირი ჯდება,შესაბამისად იღებს მნიშვნელივან ზარალს.

შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“-ს დირექტორი : პაატა ჭავჭანიძე

საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმაა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

კომპანია ექვემდებარება იმ ცვლილებებს, რომელსაც ადგილი აქვს გავრცელებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში მისი ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი ნაკადების მიმართ. კომპანიის პროცენტიანი აქტივები მოიცავს ბანკის ვადიან დეპოზიტებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკი უმთავრესად განპირობებულია სესხით სარგებლობასთან. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული სესხების შედეგად კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების რისკს.

ლიკვიდურობის რისკი ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირი დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანიას ყოველდღე უკავშირდებიან კომპანიის არსებული ფულადი სახსრების რესურსების შესახებ. კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ისწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმთავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან.

რაც შეეხება გაურკვევლობებს, იგი დაკავშირებულია სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან მოულოდნელად მიღებულ გადაწყვეტილებებთან, რომლებსაც შეუძლია კომპანიის საქმიანობის შედეგები მნიშვნელოვნად შეცვალოს და რომელთა წინასწარი პროგნოზირება ცალკეულ შემთხვევებში შეუძლებელია.მთავარი რისკი ჩვენთვის არის ბაზარზე არსებული საბრენდე სპირტის დაბალი ფასი,სპირტის წარმოება გაცილებით ძვირი ჯდება,შესაბამისად იღებს მნიშვნელივან ზარალს.

შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“-ს დირექტორი : პაატა ჭავჭანიძე